ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №5854641

ნომერი: AR1885235

თარიღი : 06.03.2022

გაცემის თარიღი : 18.03.2022

გაცნობის თარიღი : 19.03.2022

შედეგი : შუალედური.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა გორგასალი , N 40;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ლევანი ოქროპირიძე პ/ნ 35001052365
- რუსთვი, მე-17 მკრ, კორ. 17 ბ. 59

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ტექნიკური ხარვეზის გასწორება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა თქვენი 2022 წლის 6 მარტის №AR1885235 განმეორებითი განცხადება, რომლითაც ითხოვთ ამავე სამსახურის 2021 წლის 27 დეკემბრის №5744411 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორებას ტექნიკურ-ეკონომიკურ მაჩვენებლებთან დაკავშირებით.

აღნიშნული განცხადების პასუხად გაცნობებთ, რომ სამსახურის 2022 წლის 15 მარტის №5849394 ბრძანებით, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 83-ე მუხლის საფუძველზე, დაგიდგინდათ ხარვეზები და განგესაზღვრათ ვადა ხარვეზების გამოსასწორებლად.
წარმოდგენილი დოკუმენტაციის გადამოწმების შედეგად სამსახურმა დაადგინა, რომ არ არის გამოსწორებული დადგენილი ხარვეზები სრულად, კერძოდ საოფისე, საზაფხულო, დამხმარე და კიბის უჯრედისა და სადარბაზოს ფართობებში არასწორად არის ჩათვლილი კოლონების, საჰაერო შახტებისა და გარშემომზღუდავი კედლების ფართობები. ასევე, ±0.000 ნიშნულის გეგმაზე „დ“ ღერძს გასწვრივ მდებარე კიბის უჯრედზე არასწორად არის დატანილი ფართობი (დატანილია მეტობით). ამასთან, საზაფხულო ფართობებზე მოაჯირები არ არის სრულად დატანილი, მაგ.: +54.200 ნიშნულის გეგმაზე №95 საცხოვრებელი ბინის საზაფხულო ფართობზე.
ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, დაზუსტებულ იქნეს მოთხოვნა საოფისე, საზაფხულო, დამხმარე, კიბის უჯრედისა და სადარბაზოს, ასევე საერთო ფართობებთან დაკავშირებით. ამასთან, წარმოდგენილ იქნეს 2021 წლის 27 დეკემბრის №5744411 ბრძანებით შეთანხმებული არქიტექტურული გეგმების იდენტური არქიტექტურული გეგმები (გეგმარების ცვლილების გარეშე), გეგმებსა და ექსპლიკაციებზე შესწორებული ფართობების დატანით.
ვინაიდან, სამსახურის 2022 წლის 15 მარტის №5849394 ბრძანებას გაეცანით 2022 წლის 15 მარტს, ხოლო სამსახურს განმეორებით მომართეთ 2022 წლის 17 მარტს, ხარვეზის შევსებისთვის განსაზღვრული 30 (ოცდაათი) სამუშაო დღიდან დარჩენილია 28 (ოცდარვა) სამუშაო დღე.
სამსახური გაძლევთ ხარვეზის შევსების შესაძლებლობას 28 (ოცდარვა) სამუშაო დღის ვადაში. აღნიშნულ ვადაში სრულყოფილი დოკუმენტაციის წარმოუდგენლობის შემთხვევაში თქვენი 2022 წლის 6 მარტის №AR1885235 განცხადება დარჩება განუხილველი.
წინამდებარე გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქ. №7) კანონმდებლობით დადგენილი წესით, აქტის ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.